გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 86

2020 წლის 10 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით გადასაცემი ქონების (ს/კ 66.45.18.161) ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

2019 წლის 10 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია რევაზ ყანჩაველის № 6978 განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.161 მდებარე გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარედ, იჯარის ფორმით გადაცემა, აუქციონის ფორმით, გარე ვაჭრობის განსახორციელებლად.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსის" მიერ 2019 წლის 22 აპრილს წარმოდგენილი №გრ–46 „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით" მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.161 ფართობით 227,00 კვ.მ. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 34 050 (ოცდათოთხმეტი ათას ორმოცდაათი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №48 დადგენილებით, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.161 შეტანილია ქალაქ გორში, გარე ვაჭრობის ნებადართული ადგილების ჩამონათვალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.161 ფართობით 227,00 კვ.მ. პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად

საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის და „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №48 დადგენილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. საწყისი საპრივატიზებო ფასი გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ს/კ 66.45.18.161, ფართობით 227კვ.მ. განისაზღვროს 34050 (ოცდათოთხმეტი ათას ორმოცდაათი) ლარით. ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარით.

2. მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემული იქნეს 5 (ხუთი) თვის ვადით, 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

3. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) უზრუნველყოს ვიდეო კამერების დამონტაჟება;

ბ) მიწის ნაკვეთს შემოავლოს ხის დაბალი ღობე;

დ) უზრუნველყოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და სისუფთავე.

4. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

5. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე